საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 5497/01
17/06/2020

5497-01-2-202006171303

შპს „ატლანტ-ოილის“ დირექტორს
ბატონ მამუკა მიქელაძეს
მის: ქ. ახალციხე, მ. თამარაშვილის ქ. N41ა, ბინა 38

ბატონო მამუკა,

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2020 წლის 10 ივნისის № 8585 წერილი, რომელიც ეხება ქ. ახალციხეში ავტოგასამართი სადგურის მოწყობისა და ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადებაზე დაზუსტებული ინფორმაციის წარმოდგენას.

გაცნობებთ, რომ სამინისტროს 2020 წლის 5 ივნისის N5120/01 წერილის შესაბამისად, შპს „ატლანტ-ოილს“ სამინისტროში უნდა წარმოედგინა ქ. ახალციხეში ავტოგასამართი სადგურის მოწყობისა და ექსპლუატაციის განახლებული სკრინინგის განცხადება წერილში მითითებული საკითხების გათვალისწინებით. შპს „ატლანტ-ოილის” მიერ სამინისტროში ზემოაღნიშნული წერილით წარმოდგენილია მხოლოდ დამატებითი ინფორმაცია, განახლებული სკრინინგის განცხადების გარეშე.

ამასთან დამატებით გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- ნავთობპროდუქტების მიღების და ავზებში ჩატვირთვის შესახებ ინფორმაცია;
- ინფორმაცია სანიაღვრე წყლების მართვის შესახებ;
- ინფორმაცია ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე და გრუნტზე ზემოქმედების და მისი შემდგომი მართვის შესახებ;
- ნავთობდამჭერიდან ამოღებული ნავთობპროდუქტების და შლამის დასაწყობების და შემდეგი მართვის შესახებ ინფორმაცია;
- ინფორმაცია მოწყობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ნარჩენების შესახებ (მათი სახეობების და რაოდენობის მითითებით);
- ინფორმაცია ავტოგასამართი სადგურის წლის განმავლობაში სამუშაო რეჟიმის შესახებ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გაცნობებთ, რომ სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით აღნიშნულ საქმიანობაზე იმსჯელებს მას შემდეგ, რაც შპს „ატლანტ-ოილი“ უზრუნველყოფს სრულყოფილი სკრინინგის განცხადების სამინისტროში წარმოდგენას ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით.

პატივისცემით,

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე